

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის
2012 წლის 12 აპრილის სხდომის
ოქმი №5

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 26 წევრიდან, ესწრებოდა 20. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი. განმარტებებისათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მოწვეულ იქნენ პროფ. ლევან იმნაიშვილი და პროფ. გიორგი აბრამიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს „ბირთვული და რადიაციული ფიზიკის პროექტების მენეჯმენტის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №616 – მომხსენებელი პროფ. გია ნაბახტიანი.

პროფ. გია ნაბახტიანი: წარმოგიდგინო საკითხს სტუ-ს „ბირთვული და რადიაციული ფიზიკის პროექტების მენეჯმენტის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 აპრილის №5 სხდომაზე პროფ. გია ნაბახტიანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „ბირთვული და რადიაციული ფიზიკის პროექტების მენეჯმენტის

ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 24 თებერვლის დადგენილება №616.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს „ბირთვული და რადიაციული ფიზიკის პროექტების მენეჯმენტის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს „მართვის და მოდელირების სისტემური პრობლემების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №646 – მომხსენებელი პროფ. რევაზ კაკუბავა.

პროფ. რევაზ კაკუბავა: წარმოგიდგინო საკითხს სტუ-ს „მართვის და მოდელირების სისტემური პრობლემების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 აპრილის №5 სხდომაზე პროფ. რევაზ კაკუბავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „მართვის და მოდელირების სისტემური პრობლემების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 აპრილის დადგენილება №646.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს „მართვის და მოდელირების სისტემური პრობლემების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინო 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს:

1) ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში:

1.1. ოფისის ხარჯების კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 65 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში;

1.2. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები) პუნქტიდან 22 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში;

1.3. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ხარჯების პუნქტიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში;

1.4. ნაერთი ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გრაფაში, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ხარჯების პუნქტიდან 2 950 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში;

1.5. ნაერთი ბიუჯეტის გრანტების გრაფაში, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოს ხარჯების პუნქტიდან 6 480 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში;

1.6. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, საგამომცემლო ხარჯების პუნქტიდან 71 000 ლარი, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსების გრაფიდან – 1 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში;

1.7. სუბსიდიის მუხლიდან 7 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების, კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯების პუნქტში;

1.8. წარმომადგენლობითი ხარჯების სპორტული ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტში;

1.9. წარმომადგენლობითი ხარჯების, სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის ხარჯებიდან 45 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, ტრანსპორტის დაქირავების, გადაყვანა-გადაზიდვების ხარჯების პუნქტში;

1.10. სუბსიდიის მუხლიდან 40 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების, დანამატის პუნქტში;

1.11. სუბსიდიის მუხლიდან 7 777 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების, წოდებრივი სარგოს პუნქტში.

2) უნივერსიტეტის საფაკულტეტო ბიუჯეტებსა და შესაბამისად ნაერთ ბიუჯეტში:

2.1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; ბ) წარმომადგენლობითი ხარჯების სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების პუნქტიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების, ტრანსპორტის დაქირავებისა და გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების პუნქტში;

2.1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები) პუნქტიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში;

2.2. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 1 330 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში;

2.3. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის,

ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში;

2.4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; ბ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები) პუნქტიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში; გ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საგამომცემლო ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების ნორმატიული აქტების, სპეც. ლიტერატურისა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში;

2.5. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება საქონელისა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში 800 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ხარჯების პუნქტში; ბ) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 265 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; გ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები) პუნქტიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში; დ) სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოს ხარჯების პუნქტიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში; ე) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საგამომცემლო ხარჯების პუნქტიდან 5 000 ლარი

გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში;

2.6. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; ბ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები) პუნქტიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში; გ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოს ხარჯების პუნქტიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯები, რომელიც არაკლასიფიცირდება „საქონელისა და მომსახურების“ სხვა დანარჩენი ხარჯების პუნქტში; დ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საგამომცემლო ხარჯების პუნქტიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში;

2.7. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; ბ) წარმომადგენლობითი ხარჯების სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების, ტრანსპორტის დაქირავებისა და გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების პუნქტში; გ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები (წიგნები) 6 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები)

ხარჯების პუნქტში; დ) არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარების, ელექტრო მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის პუნქტიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში; ე) არაფინანსური აქტივების, ელექტრო მოწყობილობების შექმნის მუხლიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების ნორმატიული აქტების, სპეციალური ლიტერატურისა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების მუხლში.

3) საგრანტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დამტკიცდეს სამეცნიერო გრანტებში თანამონაწილეობის წილი შემდეგი ოდენობით:

3.1. საგრანტო ხელშეკრულება №10/03 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ნიკოლოზ მღებრიშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 109 600 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი შეადგენს 14 400 ლარს. I საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს 2012 წელს, გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე გადარიცხვას ექვემდებარება 7 200 ლარი. აღნიშნული თანხა – 7 200 ლარი გამოიყოს სუბსიდიის მუხლიდან და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

3.2. საგრანტო ხელშეკრულება №10/09 (სამეცნიერო ხელმძღვანელი – გია პეტრიაშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 168 800 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი შეადგენს 28 800 ლარს. I საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს 2012 წელს, გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე გადარიცხვას ექვემდებარება 14 400 ლარი. აღნიშნული თანხა – 14 400 ლარი გამოიყოს სუბსიდიის მუხლიდან და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

3.3. საგრანტო ხელშეკრულება №10/06 (სამეცნიერო ხელმძღვანელი – რამაზ ქაცარავა). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 130 000 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი შეადგენს 30 000 ლარს. I საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს 2012 წელს, გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე გადარიცხვას ექვემდებარება 15 000 ლარი. აღნიშნული თანხა – 15 000 ლარი გამოიყოს სუბსიდიის მუხლიდან და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

3.4. საგრანტო ხელშეკრულება №10/13 (სამეცნიერო ხელმძღვანელი – ლალი შავლიაშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 80 500 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი შეადგენს 10 500 ლარს. I საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს 2012 წელს, გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე გადარიცხვას ექვემდებარება 5 250 ლარი.

აღნიშნული თანხა – 5 250 ლარი გამოიყოს სუბსიდიის მუხლიდან და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე.

4. სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტებს: მუჰამედ არსლანს და ბერქ აქიუზს, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივლისამდე (ექვსი თვის განმავლობაში) დაენიშნოთ სტიპენდია, თითოეულს 180 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში, სუბსიდიის მუხლიდან 2 160 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სტიპენდიების პუნქტში.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ზემოაღნიშნული ცვლილებები განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ და მიზანშეწონილად მიიჩნია ამ ცვლილებების გატარება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 აპრილის №5 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა:

I. დამტკიცდეს სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები, კერძოდ:

1) ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში:

1.1. ოფისის ხარჯების კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 65 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობებისა და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში;

1.2. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები)

პუნქტიდან 22 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში;

1.3. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ხარჯების პუნქტიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში;

1.4. ნაერთი ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გრაფაში, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ხარჯების პუნქტიდან 2 950 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში;

1.5. ნაერთი ბიუჯეტის გრანტების გრაფაში, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოს ხარჯების პუნქტიდან 6 480 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში;

1.6. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, საგამომცემლო ხარჯების პუნქტიდან 71 000 ლარი, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსების გრაფიდან – 1 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში;

1.7. სუბსიდიის მუხლიდან 7 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების, კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯების პუნქტში;

1.8. წარმომადგენლობითი ხარჯების სპორტული ღონისძიებების ხარჯების პუნქტიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა საქონელი და მომსახურების, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტში;

1.9. წარმომადგენლობითი ხარჯების, სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის ხარჯებიდან 45 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, ტრანსპორტის დაქირავების, გადაყვანა-გადაზიდვების ხარჯების პუნქტში;

1.10. სუბსიდიის მუხლიდან 40 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების, დანამატის პუნქტში;

1.11. სუბსიდიის მუხლიდან 7 777 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების, წოდებრივი სარგოს პუნქტში.

2) უნივერსიტეტის საფაკულტეტო ბიუჯეტებსა და შესაბამისად ნაერთ ბიუჯეტში:

2.1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; ბ) წარმომადგენლობითი ხარჯების სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების პუნქტიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების, ტრანსპორტის დაქირავებისა და გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების პუნქტში;

2.1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები) პუნქტიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში;

2.2. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 1 330 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში;

2.3. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში;

2.4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის,

ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; ბ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები) პუნქტიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში; გ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის საგამომცემლო ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების ნორმატიული აქტების, სპეც. ლიტერატურისა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში;

2.5. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯები, რომელიც არ კლასიფიცირდება საქონელისა და მომსახურეობის დანარჩენ მუხლებში 800 ლარი გადატანილ იქნეს კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ხარჯების პუნქტში; ბ) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურეობისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 265 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; გ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები) პუნქტიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში; დ) სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოს ხარჯების პუნქტიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის, სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში; ე) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის საგამომცემლო ხარჯების პუნქტიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში;

2.6. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურეობისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების

პუნქტში; ბ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის (წიგნები) პუნქტიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში; გ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოს ხარჯების პუნქტიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯები, რომელიც არაკლასიფიცირდება „საქონელისა და მომსახურების“ სხვა დანარჩენი ხარჯების პუნქტში; დ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საგამომცემლო ხარჯების პუნქტიდან 50 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების პუნქტში;

2.7. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში: ა) ოფისის ხარჯების, კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში; ბ) წარმომადგენლობითი ხარჯების სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების, ტრანსპორტის დაქირავებისა და გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების პუნქტში; გ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები (წიგნები) 6 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (წიგნები) ხარჯების პუნქტში; დ) არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარების, ელექტრო მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის პუნქტიდან 20 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში; ე) არაფინანსური აქტივების, ელექტრო მოწყობილობების შეძენის მუხლიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების ნორმატიული აქტების, სპეციალური ლიტერატურისა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების მუხლში.

3) საგრანტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დამტკიცდეს სამეცნიერო გრანტებში თანამონაწილეობის წილი შემდეგი ოდენობით:

3.1. საგრანტო ხელშეკრულება №10/03 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ნიკოლოზ მღებრიშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 109 600 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი შეადგენს 14 400 ლარს. I საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს 2012 წელს, გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე გადარიცხვას ექვემდებარება 7 200 ლარი. აღნიშნული თანხა – 7 200 ლარი გამოიყოს სუბსიდიის მუხლიდან და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

3.2. საგრანტო ხელშეკრულება №10/09 (სამეცნიერო ხელმძღვანელი – გია პეტრიაშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 168 800 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი შეადგენს 28 800 ლარს. I საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს 2012 წელს, გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე გადარიცხვას ექვემდებარება 14 400 ლარი. აღნიშნული თანხა – 14 400 ლარი გამოიყოს სუბსიდიის მუხლიდან და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

3.3. საგრანტო ხელშეკრულება №10/06 (სამეცნიერო ხელმძღვანელი – რამაზ ქაცარავა). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 130 000 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი შეადგენს 30 000 ლარს. I საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს 2012 წელს, გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე გადარიცხვას ექვემდებარება 15 000 ლარი. აღნიშნული თანხა – 15 000 ლარი გამოიყოს სუბსიდიის მუხლიდან და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

3.4. საგრანტო ხელშეკრულება №10/13 (სამეცნიერო ხელმძღვანელი – ლალი შავლიაშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 80 500 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი შეადგენს 10 500 ლარს. I საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოიცავს 2012 წელს, გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე გადარიცხვას ექვემდებარება 5 250 ლარი. აღნიშნული თანხა – 5 250 ლარი გამოიყოს სუბსიდიის მუხლიდან და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე.

4. სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტებს: მუჰამედ არსლანს და ბერქ აქიუზს, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივლისამდე (ექვსი თვის განმავლობაში) დაენიშნოთ სტიპენდია, თითოეულს 180 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში, სუბსიდიის მუხლიდან 2 160 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სტიპენდიების პუნქტში.

II. სტუ-ს ადმინისტრაციამ დანამატების დანიშნის დროს მკაცრად დაიცვას მინისტრის № 387 ბრძანებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნები.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინო კიდევ ერთ საკითხს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან არსებული სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტრუქტურის, საშტატო განრიგის და ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 აპრილის №5 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან არსებული სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტრუქტურის, საშტატო განრიგის და ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან არსებული სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტრუქტურა, საშტატო განრიგი და ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა.

ასევე, განხორციელდეს ცვლილება როგორც სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტში, ასევე ნაერთ ბიუჯეტში და 421 000 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლიდან ხარჯების სხვადასხვა მუხლებში თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულებაში არჩევნების

ელექტრონული ტექნოლოგიით ჩატარების წესის დამატების შესახებ – მომსახურებელი პროფ. ლევან იმნაიშვილი.

რეკტორი: აკადემიურმა საბჭომ დეტალურად იმსჯელა არჩევნების ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ მომავალი დეკანების არჩევნების ჩატარების დროს. აღნიშნა, რომ ელექტრონული ტექნოლოგიები გამოიყენება პირველად, მისი დადებითი მომენტები ის გახლავთ, რომ დაცულია კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა. ამასთან გამორიცხულია რაიმე გარედან ჩარევა ან ხელოვნურად შედეგების შეცვლა. ამის 100%-ან გარანტიას იძლევა შექმნილი პროგრამა, რომლის ავტორები ამ დარგის ცნობილი სპეციალისტები არიან, რომელთა შორის აღნიშნული პროგრამის შექმნაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას. ამასთან, დავის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელები მზად არიან პასუხი აგონ პროგრამის საიმედოობასა და დაცულობაზე. აგრეთვე, არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებმა ზუსტად იხელმძღვანელონ არჩევნების ჩატარების დადგენილი წესით.

პროფ. ლევან იმნაიშვილი: წარმოგიდგინო და განგიმარტავო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულებაში შესატან დამატებებსა და ცვლილებებს, რომელიც გამოწვეულია ელექტრონული ტექნოლოგიებით არჩევნების ჩატარებასთან.

ნება მომეცით, თვითოეულ ცვლილებაზე და დამატებაზე თანმიმდევრულად მოგცეთ განმარტება და ამის შემდეგ მზად ვარ გავცე პასუხი თქვენს შეკითხვებს.

პროფ. ლევან იმნაიშვილმა ცვლილებები და დამატებები წარმოადგინა ვიზუალური მასალის თანხლებით და განმარტა დებულებაში შესატანი ცვლილებების და დამატებების არსი და შინაარსი. ტექსტურად ცვლილებები და დამატებები თან ერთვოდა აკადემიური საბჭოს დადგენილებას, კერძოდ:

მუხლი 24. ფაკულტეტის დეკანის არჩევა

3.1. თუ შერჩევაში მონაწილეობდა სამზე მეტი კანდიდატი, მათგან ორმა ან მეტმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ხმები და მათ შორისაა

გასაკეთებელი არჩევანი, მათი მონაწილეობით იმავე დღეს, კენჭისყრის შედეგების გამოცხადებისთანავე ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. შერჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი/კანდიდატები.

3.2. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, აკადემიური საბჭო იმავე დღეს იღებს გადაწყვეტილებას განმეორებითი (ხელახალი) არჩევნების დანიშვნის შესახებ, რომელიც უნდა ჩატარდეს ამ დებულებით განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურის სრული დაცვით, იგივე კანდიდატის/კანდიდატების მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 25. არჩევნების ჩატარების ტექნოლოგია;

1. არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ტრადიციული ტექნოლოგიით.
2. არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული ტექნოლოგიით. ელექტრონული ტექნოლოგია გულისხმობს ამომრჩევლის რეგისტრირებას სარეგისტრაციო ტერმინალიდან ბიომეტრიული იდენტიფიცირების გზით და ხმის მიცემის ტერმინალზე ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენის გამოყენებას და არჩევნების შედეგების ავტომატურ შეჯამებას.
3. არჩევნების ჩატარების ტექნოლოგიის შესახებ გადაწყვეტილებას დებულობს აკადემიური საბჭო.

მუხლი 27. ტრადიციული ტექნოლოგიის საარჩევნო სიები

მუხლი 28. ელექტრონული ტექნოლოგიის საარჩევნო სიები

- საარჩევნო სიების გადაცემას შესაბამის საარჩევნო კომისიებისათვის ელექტრონულ ფორმაში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი).
- ელექტრონული სახით საარჩევნო სიები ფორმირებული უნდა იქნას მუხლი 27-ის პუნქტების 2-6-ის შესაბამისად.
- ელექტრონული საარჩევნო სიები მუხლი 27-ის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გარდა დამატებით უნდა მოიცავდეს ამომრჩევლის თითის ანაბეჭდის ციფრულ შაბლონს.

მუხლი 29. ტრადიციული ტექნოლოგიით არჩევნების საარჩევნო ბიულეტენი.

მუხლი 30. ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენი.

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება ხმის მიცემის ტერმინალის მონიტორზე ასახული ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენზე კანდიდატის გვარის გააქტიურებით.
2. ელექტრონულ საარჩევნო ბიულეტენზე დატანილია:
 - ა) უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის (თუ არჩევნებს ატარებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია) სახელწოდება.
 - ბ) მართვის ორგანოს (მმართველი სუბიექტის) არჩევნებისათვის კუთვნილება.
 - გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი (ანბანით, გვარის პირველი ასოს მიხედვით)
 - დ) არჩევნების ჩატარების თარიღი.
3. ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენზე დატანილია ვირტუალური ღილაკი „ბიულეტენის გაბათილება“.
4. ამომრჩეველზე ერთზე მეტი ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენის გაცემა დაუშვებელია.
5. ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა ამომრჩევლის ბიომეტრიული იდენტიფიცირების საშუალებით.

მუხლი 31. ტრადიციული ტექნოლოგიის საარჩევნო ყუთი

მუხლი 32. ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების

აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიებს უზრუნველყოფს აპარატურული და პროგრამული საშუალებებით. თითოეული ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას გადაეცემა 1 რეგისტრაციის ტერმინალი (კომპლექტი მოიცავს: პერსონალურ კომპიუტერს, დაქტილოსკოპიურ სკანერს და უწყვეტი კვების წყაროს) და 1 ხმის მიცემის ტერმინალი (კომპლექტი მოიცავს: პერსონალური კომპიუტერის სისტემურ ბლოკს, სენსორულ მონიტორს და უწყვეტი კვების წყაროს) მათში ჩატვირთული პროგრამული უზრუნველყოფებით.
2. კენჭისყრის დაწყებამდე პერსონალური კომპიუტერის და ხმის მიცემის ტერმინალის სისტემური ბლოკები ილუქება საარჩევნო კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით.

3. პირველი ამომრჩევლის ბიომეტრიულ რეგისტრირებამდე არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების მიზნით საარჩევნო კომისიის წევრები თანმიმდევრულად ბიომეტრიული იდენტიფიცირების გზით ამოწმებენ „ელექტრონულ საკონტროლო ფურცელს“. პირველი ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის შემდგომ „ელექტრონულ საკონტროლო ფურცელში“ შეიტანება პირველი ამომრჩევლის საიდენტიფიკაციო მონაცემები (გვარი, სახელი, პირადი №).

მუხლი 33. ტრადიციული ტექნოლოგიით არჩევნების ორგანიზება

მუხლი 34. ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნები ტარდება მოცემული არჩევნების ჩატარების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ დღეს.
2. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.
3. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფასა და სათანადო მოწყობას.
4. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიას სათანადო ბეჭდით.
5. არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიები მუშაობას იწყებენ დილის 9 საათზე.
6. საარჩევნო კომისიების წევრები არჩევნების დღეს დილის 10 საათამდე წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი წილისყრაში არ მონაწილეობენ.
7. წილისყრის შედეგად გამოვლენილ უნდა იქნას:
 - ა) რეგისტრატორი;
 - ბ) ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი (მარეგულირებლები)
8. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს დილის 10 საათზე.

მუხლი 35. ტრადიციული ტექნოლოგიით არჩევნების პროცედურა

მუხლი 36. ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების პროცედურა

1. კენჭისყრის დღეს რეგისტრატორი ამომრჩეველს ბიომეტრიული იდენტიფიცირების გზით გაატარებს რეგისტრაციაში და გასცემს ელექტრონულ საარჩევნო ბიულეტენს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი ხმის მიცემის ტერმინალზე გააქტიურებს მისთვის სასურველი იმდენი კანდიდატის გვარს, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული, (აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოსათვის დეკანობის კანდიდატურების შერჩევისას - არა უმეტეს სამი კანდიდატის გვარს), იგი გამოდის საარჩევნო კაბინიდან და გადის ოთახიდან.
2. არ შეიძლება ოთახში ორზე მეტი ამომრჩევლის ერთდროულად ყოფნა. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა იქნება დაცული.
3. ხმის მიცემისას ელექტრონულ საარჩევნო ბიულეტენში სასურველი კანდიდატის გვარის გააქტიურება უნდა მოხდეს თითოთ ან სტილუსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით.

მუხლი 38. ტრადიციული ტექნოლოგიით არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა დასრულდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 20 საათისა.

მუხლი 39. ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა დასრულდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 20 საათისა.
2. საარჩევნო უბანი იხურება ელექტრონულად, ავტომატურად ჯამდება არჩევნების შედეგები და რეგისტრაციის ტერმინალის მონიტორზე გამოიტანება შემდეგი მონაცემები:
 - ა) ამომრჩეველთა სიითი რაოდენობა
 - ბ) რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა
 - გ) ხმის მისაცემად გამოყენებული ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა
 - დ) ბათილი ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა
 - ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა
3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა აკადემიური პერსონალის საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობის ნახევარზე მეტი და სტუდენტთა საარჩევნო სიაში შეყვანილ

ამომრჩეველთა რაოდენობის მესამედზე მეტი; გადაწყვეტილება არჩევნების ჩატარებულად ჩათვლის შესახებ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის მიიღება ცალ-ცალკე.

4. ივსება შემაჯამებელი ოქმები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევნებისათვის ცალ-ცალკე, რომლებშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

- ა) ამომრჩეველთა სიითი რაოდენობა
- ბ) რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა
- გ) ხმის მისაცემად გამოყენებული ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა
- დ) ბათილი ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა
- ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა
- ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

5. ფაკულტეტიდან აკადემიურ საბჭოსა და სენატში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი კანდიდატი (კანდიდატები), რამდენ ვაკანტურ ადგილზეც დაინიშნა არჩევნები.

6. არჩევნების შედეგები არქივის გადაიტანება მყარ მატარებელზე.

6. უნივერსიტეტის რექტორის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობებზე არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ. რამდენიმე კანდიდატის შემთხვევაში, დეკანის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი ხმა, ხოლო ერთი კანდიდატის არსებობისას, იგი არჩეულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

7. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის საკონტროლო პროცედურის ოქმი, შემაჯამებელი ოქმი, არქივი მყარ მატარებელზე და ბეჭედი არჩევნების შედეგების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს, ხოლო ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის შემთხვევაში - შესაბამისი ფაკულტეტის არქივს.

შენიშვნა: არჩევნების შესახებ დებულებაში დამატებები და ცვლილებები ძირითადად შევიდა არა პრიმა მუხლების, პრიმა პუნქტებისა და პრიმა ქვეპუნქტების სახით, არამედ მუხლების, პუნქტებისა და ქვეპუნქტების სახით დებულების შესაბამის ადგილებზე, რამაც გამოიწვია

საერთო ნუმერაციის შეცვლა ისე, რომ მათი შინაარსი არ შეცვლილა, გარდა ზემოთ აღნიშნული დამატებებისა და ცვლილებებისა.

სპიკერი: გთხოვთ დასვათ შეკითხვები.

პროფ. მერაბ ახობაძე: დაცული იქნება თუ არა არჩევნების ჩატარების დროს ფარულობის პრინციპი?

პროფ. ლევან იმნაიშვილი: ფარულობა დაცულია მთლიანად და პროგრამა გამორიცხავს ყველანაირ შანს ამ პრინციპის დარღვევისა. მე ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ და შემოიძლია კიდევ გავიმეორო.

პროფ. დავით ჯაფარიძე: არის თუ არა შესაძლებელი გაუმართავმა ტექნიკამ ჩაშალოს არჩევნები?

პროფ. ლევან იმნაიშვილი: ესეც გამორიცხულია, ერთადერთი საშიშროება შეიძლება გამოიწვიოს ელექტროენერჯის გათიშვამ, რაზედაც ვღებულობთ ზომებს, რომ არჩევნების დღეს ყველა ფაკულტეტზე კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფილი იქნეს ხელოვნური კვებით.

პროფ. მერაბ ახობაძე: ამომრჩეველთა რეგისტრაციის რიგითობა ემთხვევა თუ არა ამომრჩევლის ბიულეტენის რიგითობას?

პროფ. ლევან იმნაიშვილი: პროგრამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამორიცხულია დაემთხვეს ამომრჩეველის რიგითობა და ბიულეტენის რიგითობა ერთმანეთს. სწორედ ეს უზრუნველყოფს არჩევნების ფარულობის დაცვას.

პროფ. მზია მილაშვილი: არის თუ არა პროგრამით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევა, როცა ამომრჩეველს არ უნდა, რომ არცერთ კანდიდატს მისცეს ხმა, ან გააბათილოს ბიულეტენი?

პროფ. ლევან იმნაიშვილი: პროგრამა, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს ასეთ შემთხვევებს.

სპიკერი: წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები, რაც დაკავშირებულია არჩევნების ელექტრონული წესით ჩატარებასთან ნოვაციას, მხარდასაჭერია და იგი არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის წესდებას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 აპრილის №5 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული ცვლილებები და დამატებები, შესატანი წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2012 წლის 10 იანვარს დამტკიცებულ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულებაში“.

სენატმა გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების შესახებ დებულებაში ცვლილებები და დამატებები.
2. ეთხოვოს სტუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პროფ. ნ. ნაცვლიშვილს, პროფ. ლ. იმნაიშვილთან ერთად, უზრუნველყოს არჩევნების შესახებ დებულებაში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით ფაკულტეტების საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება.
3. ეთხოვოს ფაკულტეტების საარჩევნო კომისიებს არჩევნების შესახებ დებულებაში შეტანილი ცვლილებები გააცნოს ფაკულტეტების საბჭოს წევრებს.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დასურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი